კაჭრეთი,
4 დეკემბერი, 2011

კაჭრეთის დიალოგები

მრგვალი მაგიდა კარგი მმართველობის შესახებ

მშვიდობის ხელშეწყობა საქართველოში

EUROPEAN PARTNERSHIP FOR DEMOCRACY

CIPDD

მხარდამჭერი: Kingdom of the Netherlands

მშვიდობის ხელშეწყობა საქართველოში

კაჭრეთის დიალოგები:
მრგვალი მაგიდა კარგი მმართველობის შესახებ

15 დეკემბერი, 2011

წინასიტყვაობა

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2011 წ. 15 დეკემბერს სასტუმრო ქართიარდ მარიოტში გამართული შეხვედრაზე გამოთქმულ მოსაზრებებს. კაჭრეთის დიალოგები წარმოადგენს მრგვალი მაგიდის ფორმატს, როემლიც ყოველ სამ თვეში ერთხელ იმართება და რომელშიც მონაწილეობას იღებენ საქართველოში ხელისუფლების წარმომადგენლები და დამოუკიდებლები ექსპერტები. მრგვალი მაგიდის მიზანია ქართული საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვა. დიალოგები ორგანიზებულია მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტისა (CIPDD) და ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისათვის (EPD) მიერ, რომლებიც შემდგომ მიზნებს ისახავენ:

პირველ რიგში, საქართველოს წამყვან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიებისთვის მაღალი რანგის დებატებში (რომლებსაც მოდერატორობას საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები უწევენ) მონაწილეობის უზრუნველყოფით CIPDD და EPD ცდილობენ ხელი შეუწყონ უკეთ ინფორმირებულ საზოგადოებრივ დისკურსს საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რადგან დიალოგში მონაწილეებს ჩართულობის თანაბარი საშუალება ეძლევათ. მეორე რიგში, ორგანიზაციები სთავაზობენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და პოლიტიკურ პარტიებს პლატფორმას პარტნიორობისა და ქსელური თანამშრომლობისთვის, სადაც მათ აგრეთვე ეძლევათ შესაძლებლობა გაუზიარონ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება უცხოელ და ადგილობრივ ექსპერტებს. მესამე რიგში, მრგვალი მაგიდები საშუალებას აძლევს პოლიტიკურ პარტიებს აიმაღლონ ცნობადობა მკვეთრად გამოხატული სტრატეგიების საფუძველზე.

ანგარიშის პირველი ნაწილი წარმოადგენს 2011 წ. 15 დეკემბერს ორგანიზებული დიალოგის შეჯამებას. დიალოგის თემა გახლდათ „მშვიდობის ხელშეწყობა საქართველოში“. ანგარიშის მეორე ნაწილი მკითხველს სთავაზობს განხილვაზე წარმოდგენილ მასალას, რომელიც იხილავს, თუ რა როლი უჭირავს კონფლიქტების დარეგულირების თემას საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესში.

მშვიდობის ხელშეწყობა საქართველოში

დისკუსიის ანგარიში

დისკუსია „მშვიდობის ხელშეწყობა საქართველოში“ გახსნა და მონაწილეებს მიესალმა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების ინსტიტუტის თავმჯდომარე გია ნოდია. დამსწრე აუდიტორიას მოკლე შესავალით მიმართეს აგრეთვე საქართველოს საგარეო და სტრატეგიული კვლევების ფონდის წარმომადგენელმა, კახა გოგოლაშვილმა და მხარდამჭერი ორგანიზაციების, ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისათვის, და, კრიზისების მართვის ინისციატივის, წარმომადგენლებმა – იონე ქეთსუკმა და მიხეილ მირზიაშვილმა. გამომსვლელებმა განიხილეს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმინარეობა, კონფლიქტის გამოყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხო თანაცხოვრების შესაძლებლობები, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების პოტენციალი, კონფლიქტების მშვიდობიან გადაწყვეტის ხელშესაწყობად საერთაშორისო მხარდაჭერის გაძლიერების პერსპექტივები.

სესია I:

ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება – ჩართულობა თანამშრომლობის გზით, ჩართულობის სამოქმედო გეგმა

დისკუსიის განაცხადი: საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის და ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია დაიწყო. სამოქმედო გეგმა გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები თემებს შორის ნდობის აღდგენის მიზნით ითვალისწინებს შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნას საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ ეტაპზე, ქართველოს ხელისუფლებისა და საერთოშორისო სტეიქჰოლდერებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი თემების საჭიროებების და წუხილების შესწავლა, რაც მათზე დროულად რეაგირება ნდობის ამაღლების და კონფლიქტების განახლების საფრთხის შემცირების საშუალებას იძლევა.

მომხსენებლები: თამარ ქოჩორაძე, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი;

ჯეფ გროტონი, უსაფრთხო მსოფლიო, დიდი ბრიტანეთი

ზურაბ შენგელია, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

დისკუსიის მოდერატორი: მიხეილ მირზიაშვილი, კრიზისების მართვის ინიციატივა, ჰელსინკი, ფინეთი

დისკუსიაზე გამოთქმული მოსაზრებები

სახელმწიფო სტრატეგიის და ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მიმდინარეობა

- ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგია არ არის პოლიტიკური დოკუმენტი – ის არ ეხება ამ ტერიტოტიების პოლიტიკური სტატუსისა და დეოკუპაციის საკითხებს. თუმცა, ინფორმაცია მისი განხორციელების შესახებ არ საჯაროვდება. ხელისუფლების წარმომადგენლები მასზე ღიად არ საუბრობენ, ვინაიდან თემა სენსიტიურია, და ხელისუფლება შიშობს, რომ ინფორმაცია მის შესახებ უარყოფითად შეიძლება იყოს გამოყენებული.
- საქართველოს მთავრობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კონფლიქტის მხარეებად არ აღიარებს. ამ საკითხში მთავრობის პოზიცია ცალსახაა. მთავრობის აზრით, ქართველ და აფხაზ, ქართველ და ოს ხალხებს შორის ეთნიკური სიძულვილი არ არსებობს და მათ შორის ეთნიკური კონფლიქტი არ ყოფილა. ამიტომ, კონფლიქტის მეორე მხარეს რუსეთი წარმოადგენს. საქართველოს ხელისუფლების ღონისძიებები მიმართულია ქართველებსა და აფხაზებსა და ქართველებსა და ოსებს შორის გაუცხოების დაძლევისკენ.
- ევროკავშირსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის მიმდინარეობს სტრატეგიული დიალოგი – რუსეთისაგან განსხვავებით საქართველო მხარს უჭერს ევროკავშირისა და მისი სხვა პარტნიორი ქვეყნების შესვლას და საქმიანობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამასთან, არც ევროკავშირის და არც სხვა ქვეყნების ინტერესებში არ შედის კონფლიქტურ რეგიონებში შესვლა საქართველოს მთავრობის გვერდის ავლით.
- ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ სტატეგიას და სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სამოქმედო გეგმაში ჩადებულია შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნა და ამოქმედება – ნეიტრალური დოკუმენტის გამომუშავება, ნდობის ფონდის ამოქმედება, საკოორდინაციო მექნიზმის შექმნა და სხვ. დღეს ხელისუფლების ამოცანაა ნდობის ფონდის დაფუძნება. ეს ფონდი იქმნება როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ ეტაპზე ხელისუფლების მთავარი მიზანია ნდობის აღდგენაზე მიმართული პროექტების რაოდენობის გაზრდა.
- ნდობის აღდგენის მიმართულებით მცირე პროგრესი უკვე სახეზეა. 2011 წ. ევროპის საბჭოს 2

პროექტი განხორციელდა, რომლის ფარგლებში ბავშვები და სტუდენტები აფხაზეთიდან (ოჩამჩირედან, სოხუმიდან, გუდაუთიდან) ჩამოვიდნენ კახეთში, ბათუმში, ანაკლიაში. პროექტებით ასევე გათვალისწინებულია ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების შეხვედრები სახღვარგარეთ.

- ერთი-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც სამოქმედო გეგმით არის გათვალსიწინებული – საკოორდინაციო მექანიზმის შექმნაა. მისი ერთი-ერთი მიმართულების, ჯანდაცვის სფეროს, ფარგლებში აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სოხუმის ოფისის მოთხოვნის საპასუხოდ საქართველოდან შედის ინსულინი და ვეტერინალური ვაქცინები. მაგალითად, ამ საკოორდინაციო მექანიზმის დახმარებით, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ბაგაფშმა თავის დროზე ქართულ მხარეს სთხოვა სახღვრის შესახებ დოკუმენტების მიწოდება, რათა რუსეთს ვერ მოეხერხებინა სასაზღვრო ზოლის შეცვლა. ქართულმა მხარემ გადასცა მას ეს დოკუმენტები. საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით მოხდა ასევე აფხაზეთიდან 20 მონაწილის შერჩევა იტალიაში ახალგაზრდულ ბანაკში გასამგზავრებლად
- საქართველომ შემოიღო ნეიტრალური პირადობის და სამგზავრო მოწმობები. ამ ინიციატივებთან დაკავშირებული ყველა საჭირო სამართლებრივი და იურიდიული პროცედურა დასრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალური მოწმობების შემოღებამ ყოველგვარი რეკლამის გარეშე ჩაიარა, 2011 წ. ოქტომბრის თვიდან ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები თითქმის ყოველდღიურად მიმართავენ განაცხადებით შესაბამის უწყებას და იღებენ პირადობის ნეიტრალურ მოწმობებს, რომლის საფუძველზეც მათ შეუძლიათ საქართველოს ჯანდაცვის და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა.
- 2011 წ. ოქტომბრიდან პირადობის ნეიტრალური მოწმობა უკვე მიიღო 23-მა აფხაზეთის მოქალაქემ. განაცხადი მოწმობის მოთხოვნით აქვს გაეკეთებული კიდევ 11 მოქალაქეს (მაგალითად, 2011 წ. 15 დეკემბერს, 2 ასეთი განაცხადი შემოვიდა). უნდა აღინიშნოს, რომ გალის რაიონის მაცხოვრებელთა პროცენტი მათ შორის მცირეა, რადგანაც ასეთი მოწმობები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებზე არ გაიცემა. პირადობის ნეიტრალურ მოწმობის მიღების მსრუველებს შორის არიან მოქალაქეები ოჩამჩირედან და ტყვარჩელიდან. ამ ინიციატივის პოპულარიზაცია საჯაროდ არ ხდება.
- საქართველოს ხელისუფლება პარტნიორ სახელმწიფოებთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რათა მათ აღიარონ საქართველოში გაცემული სამგზავრო დოკუმენტები, რაც საშუალებას მისცემს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს თავისუფლად გადაადგილდნენ ამ ქვეყნებში. საქართველოს ხელისუფლება ელოდება, რომ ევროკავშირის წევრი ჩეხეთი და სხვა ქვეყნები მალე აღიარებენ ამ დოკუმენტებს. თურქეთი, მაგალითად, აპირებს ნეიტრალური სამგზავრო მოწმობის აღიარებას. სამგზავრო მოწმობა აღებული აქვს აფხაზეთში მცხოვრებ მხოლოდ სამ ადამიანს. დღეისათვის ამ ინიციატივაზე სარგებელი არ არის მიბმული, და მის მიმართ ინტერესი ნაკლებია. თუმცა მოსალოდნელია, რომ მომავალში ინტერესი მის მიმართ გაიზრდება.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების რამოდენიმე მოსაზრება სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ.

- ქართული სახელმწიფო არ ცნობს 2011 წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს, მაგრამ სასურველია, რომ არჩევნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი პოზიცია გამოხატოს. სამხრეთ ოსეთში ჩატარებული არჩევნების და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო საზოგადოების მკაფიო პროტესტი კოკოითის რეჟიმის წინააღმდეგ. საქართველომ უნდა დააფიქსიროს, რომ არ არის გულგრილი და მხარს უჭერს საზოგადოების მხრიდან გადადგმულ გაბედულ ნაბიჯებს.
- ხელისუფლებამ ასევე უნდა გარკვევით გამოხატოს თავისი დამოკიდებულება შემდეგი საკითხის მიმართ – ემთხვევა თუ ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ევროკავშირის შესვლას და საქმიანობას. თუ ქართული მხარე თვლის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებებს თავის გაუცხოებულ ნაწილებად, ის დაინტერესებული უნდა იყოს მათი განვითარებითა და ჩამოყალიბებით. მაგრამ საქართველოში დღემდე დისკუსიის საგნად რჩება – რას უნდა შევუწყოთ ხელი, ამ რეგიონების იზოლაციას თუ დეიზოლაციას. 2012 წ. იანვარში ბრიუსელში საქართველოს ევროპელი პარტნიორები გეგმავენ შეხვედრას, სადაც ეს საკითხებიც იქნება განხილული.
- ევროკავშირის ნაბიჯები კონფლიქტების დარეგულირების სფეროში პოზიტიურ შედეგებს მოუტანს საქართველოს. ამიტომ საქართველოს პოზიცია, უფრო აქტიურ და რეალისტურ გათვლებზე უნდა იყოს დამყარებული. საქართველომ ხელი არ უნდა შეუშალოს ამ პროცესს და უნდა შეუშვას ევროკავშირი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ხალხთან სალაპარაკოდ.
- ევროკაშირს სჭირდება საქართველოს მთავრობის მხრადაჭერა იმისათვის, რომ ჰქონდეს საშუალება დააბალანსოს რუსეთის პოლიტიკა რეგიონში.

კონფლიქტის გამყოფი ხაზის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება

- კონფლქიტების მენეჯმენტის სისტემა ქვედა დონეზე არ მუშაობს, რადგანაც ძირითადი სთეიქჰოლდერები არ აქცევენ ყურადღებას, თუ რა ხდება ადგილობრივ თემებში. ინფრომაციის ნაკლებობა თემების საჭიროებების და ინტერესების შესახებ არ იძლევა იმის საშაულებას, რომ მათ-

ზე დროულად მოხდეს რეაგირება, რაც კონფლიქტების განახლების საფრთხეს ზრდის.

- კონფლიქტების მენეჯმენტის სისტემაზე მუშაობისას ცოტა ხნის წინ მთელი ყურადღება მძიმე უსაფრთხოებას ექცეოდა და არა ადამიანის უსაფრთხოებას. მიმდინარე პროექტის ფარგოლებში „უსაფრთხო მსოფლიოს“ მიდგომა თემებთან თანამშრომლობაზეა დაფუძნებული. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი თემების წარმომადგენლებს ასწავლიან საკუთარი საჭიროებების გამოკვეთას, რათა ინფორმაციამ დროულად მიაღწიოს უსაფრთხოების დამცველებამდე. პროექტი მუშაობს შიდა ქართლის 17 თემსა და გალის რეგიონის 16 თემთან. მათთან მიმდინარეობს მუდმივი დიალოგი.
- შიდა ქართლის თემების კონტაქტი გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობასთან შეზღუდულია, თუმცა ყველა მათგანი მხარს უჭერს ურთიერთობების გაღრმავებას. ამის მიზეზი ისაა, რომ 2008 წ., რუსეთ-საქართველს ომის შემდეგ ოჯახური და ბიზნეს კავშირები გაწყდა. ხალხს უნდა ვაჭრობა, დღესაასწაულებზე ერთმანეთთან სიარული, მაგრამ ადამიანები თავს იკავებენ, იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობა, შესაძლოა, ასეთი კონტაქტების განახლების მომხრე არ იყოს. აფხაზეთის გამყოფ ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას უფრო ნათელი და გამარტივებული პროცედურები სჭირდებათ ენგურის ხიდზე გადასასვლელად. კონტაქტების გააქტიურების სურვილი აქაც არსებობს.
- დიალოგი თემებს, სახელმწიფოსა და უსაფრთხოების დამცველებს შორის აუცილებელია. საერთაშორისო სტეიქჰოლდერებისათვისაც მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება, რომ ადეკვატური რეაგირება მოახდინონ არსებულ სიტუაციაზე.

ოკუპირებული აფხაზეთი 2008 წ. შემდეგ – სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დაკვირვებები

- აფხაზეთში იგრძნობა სერიოზული პოლიტიკური გამოცოცხლება. სამოქალაქო საზოგადოება დაუპირისპირდა თავის ხელისუფლებას. ანქვაბის წინასაარჩევნო პროგრამის ძირითადი მესიჯი იყო კორუფციასთან და კრიმინალთან ბრძოლა. ის დაპირდა მოსახლეობას, რომ 3-ჯერ შეამცირებს სახელმწიფო აპარატს, შედეგად არჩევნებზე მიიღო ამომრჩევლის 54% მხარდაჭერა.
- აფხაზეთში ნებისმიერი თავშეყრის ადგილი გადაქცეულია პოლიტიკურ კლუბად – საჯაროდ იხილება ხელისუფლების თუ პარტიების, ასევე, საქართველოს და რუსეთის ქმედებები. წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობაში ამოქმედდა თვითცენზურა და მხოლოდ სამი თემა საერთოდ არ განიხილებოდა: ლტოლვილები, რუსეთი, რუსეთის ექსპანსია.
- აფხაზეთში გაიზარდა მოსახლეობის დაპირისპირება რუსეთთან, რამდენადაც რუსეთი ცდილობს გააკონტროლოს ტერიტორია და მოსახლეობა. ნებისმიერ კლუბში, როდესაც იწყება რუსეთისა და აფხაზეთის ურთიერთობების განხილვა, მოსახლეობა ადარებს ამ ურთიერთობებს ქართველებთან ურთიერთობების პერიოდს, საკმაოდ დადებითად აფასებს უკანასკნელს.
- თუ 2008 წ. ომამდე საქართველო აფხაზეთისათვის პირველი მტერი იყო, 2008 წ. შემდეგ აფხაზები უკვე საუბრობენ ქართულად. გარდა ამისა, გალელი ქართველები უკვე გასცდნენ რაიონის ფარგლებს და ახლა აფხაზეთის სხვა ქალაქებშიც ცხოვრობენ. მაგალითად, მათ უკვე შეუძლიათ საკუთარი ბიზნესი ჰქონდეთ სოხუმში, გუდაუთაში და სხვ.
- მიუხედავად იმისა, რომ რუსებს ჩაკეტილი აქვთ აფხაზეთის საზღვარი საქართველოს მხრიდან, აფხაზეთის მოსახლეობა ძალიან დიდ ინტერესს იჩენს საქარველოში მიმდინარე პროცესების მიმართ. აფხაზებს გაზვიადებული წარმოდგენებიც კი აქვს საქართველოს სასარგებლოდ. მოსახლეობის ინტერესს იწვევს სტრატეგიაც და ნდობის აღდგნის მექანიზმებიც. აფხაზები სახელწმიფო სტრატეგიული დოკუმენტების მიღებას დადებითად აფასებენ, მაგრამ არარეალისტურად თვლიან მათ განხორციელებას.

სესია II:

საქართველო და რუსეთი

დისკუსიის განაცხადი: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გასაწევრიანებლად რუსეთ-საქართველოს შეთანხმების პირობების შესრულება რეალისტურია. ორი ქვეყნის საზოგადოების წარმომადგენლები ინტერესს ამჟღავნებენ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიმართ, თუმცა, ჯერ-ჯერობით საქართველოსა და რუსეთს შორის რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე თანამშორმლობის პერსპექტივა ნაკლებად ჩანს. ორივე ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა თავს ნაკლებად თვლის ანგარიშვალდებულად საზოგადოების წინაშე, არ ითვალისწინებს მის ინტერესებს და, ამავე დროს, ნულოვანი ჯამის თამაშის წესის თანახმად მოქმედებს.

მოდერატორი: კახა გოგოლაშვილი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

მომხსენებლები: თამარ კოვზირიძე, საგარეო ურთიერთობათა საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის უფროსი, პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი

ვლადიმერ პაპავა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი

გია ნოდია, მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

თენგიზ ფხალაძე, გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრი.

რუსეთის გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში

- რუსეთის გაწევრიანების პროცესი მსოფლიოს სავჭრო ორგანიზაციაში ძალიან ხანგრძლივი იყო. ის 18 წ. გაგრძელდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ვაჭრობა, ერთის მხრივ, პოლიტიზირებული სფერია, ხოლო მეორეს მხრივ, ტექნიკურ მხარესაც მოიცავს. ზოგადად, ტექნიკური და პოლიტიკური ფაქტორების გაცალკევება რთულია.
- საქართველო-რუსეთის ორმხრივი მოლაპარაკებების პირველი რაუნდი 2004 წ. დასრულდა. ამ მოლაპარაკებების დროს საქართველომ წამოაყენა მოთხოვნა არალეგალურ საბაჟო გამშვებ პუნქტებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების თაობაზე. 2006 წ. სავაჭრო ორგანიზაციის წესების მიხედვით დასრულებებული მოლაპარაკებები თავიდან დაიწყო, რადგანაც გაწევრიანების კანდიდატმა ქვეყანამ, რუსეთმა, არ შეასრულა 2004 წ. მის წინაშე წაყენებული მოთხოვნები.
- 2006 წ. რუსეთთან მოლაპრაკებები განახლდა. ეს პროცესი ჟენევაში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოდან იმართებოდა. რუსეთი იძულებულ იყო ჩართულიყო მოლაპარაკებებში. 2006 წ. განახლებული მოლაპარაკებები შემდეგი მიზეზების გამო გაჭიანურდა:

1. რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა საბაჟო რეგულირების შემოღება.
2. რუსეთს არ სურდა ქართულ პროდუქციაზე დაწესებული ემბარგოსთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა.
3. საბაჟო კავშირის წევრ ქვეყნებს – ბელორუსს, ყაზახეთსა და რუსეთს შორის შეიქმნა გაურკვევლობა, რომელიც ეხებოდა იმ საკითხებს, რომელზეც საბაჟოს კომპეტენცია არ ვრცელდება, მაგალითად, ინტელექტუალურ საკუთრების უფლების დაცვას. რუსეთის გაწევრიანების პროცესი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მას შემდეგ განახლდა, რაც საბაჟო კავშირის წევრმა ქვეყნებმა განაცხადეს სურვილი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე.

- რუსული ემბარგო საქართველოს მიმართ არ იყო საერთაშორისო ნორმებით აღიარებული. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მსგავსი ემბარგო შეიძლება გამოცხადდეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტი მავნებელია და ჯანმრთელობისათვის საზიანო, თანაც ასეთი ემბარგო არ უნდა იყოს უვადო და არ უნდა ვრცელდებოდეს ყველა პროდუქტზე. შესაბამისად, ქართული მხარე არ დათანხმდა ემბარგოს გაუქმებას საბაჟო გამშვები პუნქტებს კონტროლზე მოთხოვნის უარის თქმის სანაცვლოდ.
- ქართულ მხარეს ჰქონდა არჩევანი ერთი ან მრავალი მოთხოვნა წაეყენებინა რუსეთისთვის. გადაწყდა, კონცენტრაცია გაკეთებულიყო ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე – საგარეო ვაჭრობის ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევაზე. ეს მისცემდა საქართველოს და საერთაშორისო თანამეგობრობას სრულ ინფორმაციას იმაზე, თუ რა სავაჭრო ურთიერთობები აქვს რუსეთს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან. თუ საბაჟო ადმინისტრირების საკითხი გაწევრიანების პროცესში გადაუწყვეტელი დარჩებოდა, რუსეთს, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყანას, შემდგომში შეეძლო უარი ეთქვა ამ პრობლემების მოგვარებაზე.
- ბოლო ეტაპზე მოლაპარაკებებს მედიაცია გაუწია შვეიცარიამ. მოლაპარაკებები, რომელიც დაახლოვებით 15 რაუნდისგან შედგებოდა, 2011 წ. ადრეულ გაზაფხულზე დაიწყო და ნოემბერში დასრულდა. ბოლოს პროცესი იმდენად ინტენსიური გახდა, რომ შეხვედრები ყოველ კვირას, ხანდახან კვირაში ორჯერაც კი იმართებოდა. საქართველოს დელეგაციისათვის რამოდენიმე მნიშვნელოვანი წითელი ხაზი არსებობდა, მაგალითად:

(1) შეთანხმებული რეჟიმი არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული აფხაზეთისა და ოსეთისთვის და საქართველოს სხვა ტერიტორიებისთვის – ერთიანი ტერიტორიის მიმართ ერთგვაროვანი საბაჟო რეჟიმი უნდა ამოქმედებულიყო;
(2) საერთაშორისო მონიტორინგი გულისხმეობდა სავაჭრო ბრუნვის მონიტორინგს რუსეთსა და საქართველოს შორის. რუსეთი არ იყო მზად ასეთი ინფორმაციის გასაცემად. ამის გამო, შეთანხმების საბოლოო ტექსტში „საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობა“ საერთოდ არ არის ნახსენები, რუსული მხარე ამ ტერმინში სულ სხვა შინაარსს დებდა.

საქართველო-რუსეთის შეთანხმების შინაარსი

პაკეტი, რომელიც შვეიცარელების შუამავლობით მომზადდა ეხება საქართველოს და რუსეთის მთავრობებს შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს; ნეიტრალური კერძო კომპანიის მანდატს, რომელიც შვეიცარელი შუამავლების მიერ არის შედგენილი და სხვ.

1. დოკუმენტი გულისხმობს ცალსახა რეგულირებას, რათა ერთგვაროვანი საბაჟო რეჟიმი ერთნაირად გავრცელდეს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.
2. მოხდება ინფორმაციის გაცვლა სავაჭრო ბრუნვაზე, არა პოსტ-ფაქტუმ, არამედ ბრუნვასთან პარალელურად. ქართველმა და რუსმა მებაჟეებმა კერძო კომპანიას უნდა მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია ყველა იმ საქონელზე, რომელის შედის ან გამოდის სავჭრო დერეფნებიდან. ინფრომაცია შეყვანილი იქნება ელექტრონულ სისტემაში და ავტომატურად აისახება მასში. გარდა ამისა, აისახება, ტვირთების მოძრაობის ტრაექტორია.
3. საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ნეიტრალური კერძო კომპანიების სიას შედგენს და ორივე მხარეს წარუდგენს შვეიცარია. მხარეებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ მესამე ნეიტრალური მხარე (შვეიცარია) ნეიტრალურ კერძო კომპანიას შეარჩევს. ხელშეკრულებას ამ კომპანიასთან ქართული და რუ-

სული მხარეები ცალ-ცალკე დადებენ. ამ კომპანიის საქმიანობა ფინანსდება საქართველოს და რუსეთის მიერ. მაგრამ კომპანია ანგარიშვალდებული იქნება მესამე მხარის, ანუ შვეიცარიის წინაშე. დაქირავებულ კომპანიას, მანდატის თანახმად, არ ექნება უფლება დაიქირაოს რუსეთის ან საქართველოს მოქალაქეები ადგილზე განსახორციელებელი ოპერაციებისთვის. მონიტორების განთავსება პარიტეტულ პრინციპზე იქნება მიღწეული, რომლის საფუძველია თავისუფალი გადაადგილების პრინციპი.

4. ხელშეკრულების ინსტიტუციური კომპონენტი გულსხმობს ერთობლივი (საქართველო, რუსეთი, შვეიცარია) კომიტეტის შექმნას, რომელიც შეთანხმების შესრულებას გაუწევს ზედამხედველობას და მხარეებს შორის წარმოქმნილ დავებს განიხილავს. ნებისმიერი პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, კომიტეტი დავის განსახილველად 7 დღის ვადაში იკრიბება შვეიცარიაში.

საქართველო-რუსეთის შეთანხმების პერსპექტივები

1. შეთანხმება ძალაში შედის რუსეთის გაწევრიანების დღიდან.
2. გამოცდილება აჩვენებს, რომ ხშირად რუსეთი ვალდებულებებს არ ასრულებს. საქართველოში არ არსებობს იმის ილუზია, რომ შეთანხმება შესრულდება იმიტომ, რომ ეს წერია ხელშეკრულებაში.
3. შეუსრულებლობის შეთხვევაში არსებობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების განხილვის მექანიზმი. მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების შემდეგ საქართველოს შეუძლია დავის წარმართვა თავისთვის უფრო მომგებიანად.
4. ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილია ერთობლივი კომიტეტი დავებისა და პრობლემების განსახილველად. დავების განხილვის პროცესში სხვადასხვა, ან ყველა მხარე შეიძლება მონაწილეობდეს.
5. დავების გადასაჭრელად შესაძლებელია საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცედურების გამოყენებაც, რომელსაც ითვალისწინებს ხელშეკრულება.
6. ზოგადად შეთანხმება ეხება საქონლით ვაჭრობას. მასში პრინციპის დონეზე არსად არის გამოყოფილი სახმელეთო ტვირთები და შესაბამისად, არ არის გამორიცხული რომ ის ეხება საზღვაო და საჰაერო ტვირთებსაც, ისევე როგორც შეთანხმება გამონაკლისებს არ ითვალისწინებს ჰუმანიტარულ, სამხედრო, თუ სხვა ტვირთებზე.
7. ჯერ კიდევ დარწმუნებით არ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი მოახდენს ამ შეთანხმების რატიფიცირებას და დროში არ გაწელავს ამ პროცესს.

რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივები

- უახლოეს მომავალში საქართველო რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესების პერსპექტივა არ ჩანს. დასავლური კონფლიქტოლოგიური თეორიის მიხედვით, არსებობს შესაძლებლობა პოლიტიკურმა ელიტებმა ქვემოდან დაარწმუნონ მმართველი პოლიტიკურ ძალები დიალოგის აუცილებლობაში, თუმცა ამის პერსპექტივა საქართველოსა და რუსეთს შორის ნაკლებად ჩანს. პოლიტიკური ხელმძღვანელობა ორივე ქვეყანაში საკმაოდ ავტონომიურია და ნულოვანი ჯამის თამაშის წესით მოქმედებს.
- ასევე არაპერსპექტიულია რუსეთის ან საქართველოს მიერ რბილი ძალის გამოყენება, მაგალითად, ეკლესიებს შორის თანამშრომლობა, ან ჩრდილო კავკასიის პრობლემის გარშემო თანამშრომლობა. ცხადია ასევე, რომ ჩერქეზეთის გენოციდის აღიარებით საქართველო რუსეთის მმართველი პოლიტიკური გუნდის მოქმედებებზე გავლენას ვერ მოახდენს. ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემა რთულია, არსებობს რისკები, მაგრამ საქართველოს გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე არ უნდა გაზვიადდეს. საქართველოს პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება უნდა იყოს არა დესტაბილიზაციისაკენ ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ მეგობრების გაჩენასა და სახოგადოებაში კეთილგანწყობის გაზრდაზე.
- ქართულ პოლიტიკურ სპექტრში გაბატონებულია სტერეოტიპი, რომ გარდა უენევის დისკუსიისა, საქართველოსა და რუსეთს შორის ყველანაირი ურთერთობის საშუალება ჩაკეტილია. თუმცა, მრავალმხრივ ფორმატებში საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები მაინც გრაძელდება – გაეროს, ეუთოს ფარგლებში, ასევე მოლაპარაკებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე.
- რუს და ქართველ ექსპერტებს შორის მიმდინარეობს საექსპერტო დიალოგი, რომელიც მიზნად ისახავს მონაწილეების პოზიციის უკეთესად წარმოჩენას. ეს ფორმატი ქართველი ექსპერტებისათვის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს, რადგანაც ის გააფართოებს მათ წარმოადგენას რუსეთის ინტერესებსა და სტრატეგიულ გეგმებზე. ასევე, საქართველოს მეცნიერებისთვის შეიძლება ამ ფორმატის საშუალებით ხელმისაწვდომი გახდეს უშიშროების არქივები, ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიულ მასალები, მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიული ფაქტები. საქართველო-რუსეთის თანამშრომლობა შეიძლება ასევე შედგეს პოლიტიკურ დონეზე, განვითარდეს ტერორიზმთან, ორგანიზებული დანაშაულთან, ნარკოტიკებთან ბრძოლის მიმართულებით.
- უახლოეს მომავალში რუსეთსა და საქართველოს შორის ომის განახლების მაღალი ალბათობა არ არსებობს, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ ომის საფრთხე ჯერ კიდევ შენარჩუნებულია. სამხედრო თვალსაზრისით მისი განეიტრალება შეუძლებელია. სიტუაცია ძნელად პროგნოზირებადია, ბევრი რამეა დამოკიდებული თავად რუსეთის რესურსზე. ეს ისეთი საკითხია, რომელსაც ცალკე კონფერენცია შეიძლება მიეძღვნას.

სესია III:

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საქართველს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად და მშვიდობის შესანარჩუნებლად

დისკუსიის განაცხადი: საქართველოს თანამშრომლობა ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებში (ევროკავშირი, ნატო, ეუთო, გაერო, აშშ, თურქეთი, სხვა ქვეყნები) ხელს უწყობს კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების პროცესს საქართველოში. 2008 წლის შემდეგ ამ მხრივ გამოირჩევა საქართველოს სტრატეგიული თანამშორმლობა ევროკავშირსა და აშშ-თან.

მოდერატორი: გია ნოდია, მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

მომხსენებლები: დევიდ სმიტი, საქართეველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრი

კახა გოგოლაშვილი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი

გიორგი მუჩაიძე, საქართველოს ატლანტიკური საბჭო

კონსტანტინე ჟღენტი, საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში.

დისკუსიაზე გამოთქმული მოსაზრებები

ევროკავშირის მზარდი როლი კონფლიქტების დარეგულირებაში

- ევროკავშირი სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს კონფლიქტების მენეჯმენტის პროცესში. ამასთან, ევროკავშირის როლი სტაბილურად იზრდება. რადგანაც ევროკავშირი ინერციული სტრუქტურაა, მისი პროცესებში ჩართვა ხდება ბევრი პოლიტიკური დებატების, გაჯრების, ინსტიტუციონალური მომზადების საფუძველზე. ამასთან, პროცესი მიმდინარეობს ძლიან დემოკრატიულიად, მასში ჩართულია როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ასევე მოსახლეობა, საკითხი განიხილება ყველა ინსტიტუტში, ევროპარლამენტის გადაწყვეტილებები წინ უსწრებს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებებს, მას მოსდევს ეროვნული პარლამენტების გადაწყვეტილებები და მერე ეს ყველაფერი სრულდება ევროკავშირის საბჭოს დირექტივების, კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებით და შესაბამის კანონში შეტანილი ცვლილებებით. ამ პროცესის უკუქცევა რთული წარმოსადგენელია.
- ამასთან, ევროკავშირი ძალიან სუსტი იყო საგარეო ურთეირთობების ასპარეზზე, მაგრამ ეს იყო 90-ინ წლებში. 90-იანი წლების ბოლოდან, ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე, შემოდის ახალი უსაფრთხოების და თდაცვის პოლიტიკა. ასევე ჩნდება სპეციალური პოსტი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც ევროკავშირის საბჭოშია განთავსებული. მომავალ წლებში მისი სპეციალური წარმომადგენლები საგარეო ურთიერთობების და უსაფრთხოების საკითხებში ინიშნებიან საქართველოშიც და სამხრეთ კავკასიაშიც. მოკლედ, 1999 წლიდან ნელნელა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა უფრო ამბიციური ხდება.
- ევროკავშირის პოლიტიკის განვითარება კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით ადვილი დასანახია ინსტუტუციონალური ურთიერთობების განვითარების ფარგლებში: 1996 წ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული პირველი ჩარჩო შეთანხმება – „პარტნიორობისა და თანამშორმლობის ხელშეკრულება“ სულ რამოდენიმე სიტყვით მოიხსენიებდა კონფლიქტების მოგვარების თემას და მხოლოდ იმას გულიხმობდა, რომ პოლიტიკურმა დიალოგმა უნდა ხელი შეუწყოს რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებას. იმ პეროდში ევროკავშირს არ გააჩნდა ინსტიტუციონალური ბაზა, რომ ჩართულიყო კონფლიქტების მოგვარებაში. არც ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია არსებობდა, რომელიც განსაზღვრავდა ევროკავშირის ნაბიჯებს კონფლიქტების მოგვარების სფეროში.
- 2003 წელს გამოდის ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია, და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ევროკავშირის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე 16 მეზობელ ქვეყანას. ამ პოლიტიკაში ყურადღება ექცევა არა მარტო თანამშორმლობის უფრო დეტალურად გაწერილ გეგმას, რომელიც საქართველოსათვის 2007 წ. შევიდა ძალაში, არამედ აქ უფრო აქტიურად მიმდინარეობს საუბარი აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, ყარაბახის კონფლიქტების მოგვარებაზე. 2007 წ. ასევე აქტიურად დაიწყო საუბარი საქართველოს კონფლიქტურ ზონებში ევროკავშირის საპოლიციო ძალების განთავსების შესახებ, რომელიც სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო. თუმცა ევროკავშირის ეს ინიციატივა ვერ განხორციელდა მზარდი დაძაბულობის გამო, რომელიც იმ პერიოდში საქართველოში არსებული კონფლიქტების ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში გაჩნდა.
- 2008 წ. საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ ძალაში შესული აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივაში საერთოდ არ არის საუბარი კონფლიქტების მოგვარებაზე. მიუხედავად ამისა, პრაღის სამიტის დასკვნაში, რომელმაც მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის დეკლარაცია, ნათქვამია, რომ საბჭომ დაავალა ევროკავშირის კომისიას დააჩქაროს მუშაობა აღმოსავლეთის პარტნიორობის დოკუმენტზე, რაც შეიცავს პირდაპირ მინიშნებას, რომ ევროკავშირი აპირებს დაიცვას აღმოსავლეთ პარტნიორები და აღმოფხვ-

რას ის ნეგატიური პოლიტიკური თუ მატერიალური შედეგები, რომელიც მოჰყვა 2008 წ. ომს. ეს პირდაპირ იკითხება ევროკავშირის საბჭოს დასკვნიდან, თუმცა აქ არაა მითითებული, თუ როგორ აპირებს ევროკავშირი ამ კონფლიქტების მოგვარებაში ჩართვას.

ამგვარად, ევროკავშირი თავს არიდებს იმაზე საუბარს – ჩართავს თუ არა კონფლიქტების თემას აღმოსავლეთის პარტნიორობის მრავალმხრივ ფორმატში. ევროკავშირი ერთის მხრივ ავითარებს მის მეზობლებთან ინტეგრაციულ მექანიზმებს, თუმცა კონფლიქტების მოგვარების საკითხს ტოვებს ცალკეული ქვეყნების გადასაწყვეტად, სამთავრობათაშორისო ურთიერთობის სფეროში.

- ევროკავშირი არ აძლევს გრძელვადიან მანდატს ევროკავშირის წარმომადგენლობებს, რომლებიც კონფლიქტების სფეროში მოღვაწეობენ. მაგალითად სპეციალური წარმოამდგენელი სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს კრიზისების საკითხებში დამტკიცდა მხოლოდ 10 თვით (მოქმედებს 2011 წ. 1 სექტემბრიდან 2012 წ. 30 ივნისამდე). ასევე ნებისმიერი სხვა მისიაც მცირე დროით მტკიცდება (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ასევე 1 წლის ვადით მტკიცდება გაგრძელების პერსპექტივით). აქვს უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი შემდგომი გაგრძელება მოითხოვს ქვეყნის ლიდერების შეკრებას და ევროკავშირის საბჭოს თანხმობას. ეს ევროკავშირის ერთგვარი ინსტიტუციონალური სისუსტეა. თუმცა პროგრესი მაინც სახეზეა. მაგალითად, 2008 წ. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს ევროკავშირმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირის სადმკვირვებლო მისიის განთავსების თაობაზე.
- ჯერ-ჯერობით ნაადრევია საუბარი იმაზე, რომ ევროკავშირს გრძელვადიანად აქვს გადაწყვეტილი კონფლიქტების მოგავრებაში მონაწილეობა და ამისათვის განვითარებული აქვს ყველა საჭირო ინსტიტუციონალური შესაძლებლობა.

აშშ-საქართველოს თანამშრომლობა საქართველო-რუსეთის კონფლიქტთან მიმართებაში

- აშშ-ში კარგად ესმით, რომ რუსეთი ცდილობს შიდა პრობლემებიდან გარეშე პრობლემებზე ყურადღების გადატანას და მხოლოდ ამიტომ საუბრობს მის წინაშე არსებულ შემდეგ არარეალისტურ საფრთხეებზე, როგორიცაა: (ა) ნატოს გაფართოება, (ბ) საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტების მზადება, (გ) ისრაელის მზადება ირანზე შეტევისათვის და ის დახმარება, რომელსაც მას აშშ უწევს.

  საფრთხეების გამოყოფისას რუსეთის პოლიტიკური ელიტა საუბრობს კავკასიაში საპასუხო ზომების მიღებაზე, რაც საქართველოს მისამართით პირდაპირ მუქარად შეიძლება იყოს განხილული.
- აშშ-საქართველოს ურთიერთობები ძალიან ინტენსიურად და სერიოზულად ვითარდება, აშშ-მ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების დღიდან 3 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის დამხარება გაუწია. აქედან აშშ 1 მლრდ აშშ დოლარი გამოყო 2008 წ. ომის შემდეგ, საიდანაც 250 მლ საბიუჯეტო დახმარებისათვის იყო განკუთვნილი, 100 – მილენიუმის პროგრამისათვის, ხოლო დარჩენილი თანხის დიდი ნაწილი იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად.
- აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატში ოთხი სამუშაო ჯგუფი მუშაობს. მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტები – გაზის მილსადენების რეაბილიტაცია, სენაკის გადამცემი ხაზის მშენებლობა, დახმარება ითვალისწინებს ინგლისური ენის ინტენსიურ სწავლებას, აშშ იუსტიციის დეპარტამენტი მუშაობს სასამართლო სისტემის სრულყოფაზე. უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა გულისხმობს კონტრტერორიზმის, ბირთვული ნივთიერებების უკანონო გადაზიდვების სფეროებში თანამშრომლობას, სამხედრო ძალების მომზადებას. აშშ დახმარება ასევე ხმარდება სამხედროების განათლებასა და წვრთნას, განახლდა გორის ახალი თვადცავის აკადემია, სადაც მუშაობენ ამერიკელი სამხედრო მრჩეველები, და მიმდინაროებს ავღანეთში გასაგზავნი ნაწილების წვრთნა და მომზადება.
- აშშ მუდმივად აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ რუსეთი არღვევს 2008 წ. სამშვიდობო ხელშეკრულებას. ასევე, აშშ სენატისა თუ კონგრესის დოკუმენტებში უკვე იყენებენ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ცნებას. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა თავის გამოსვლაში ახსენა სიტყვა ოკუპაცია, რაც არაა მხოლოდ ცნება. ტერმინი ოკუპაცია გულისხმობს მრავალ სამართლებრივ ვალდებულებებს და შეზღუდვებს საერთაშორისო სივრცეში.
- საქართველოსა და დასავლეთს შორის არსებობს განსხვავებული ხედვები. დღეს საჭიროა ამ განსხვავებული ხედვების დაახლოება და მათ შორის კავშირების გაბმა. ასეთი კავშირების დაახლოებით 90% უკვე აგებულია, ურთიერთგაგება ამ ხედვების უმეტესობას შორის არსებობს. დარჩენილია მხოლოდ უსაფრთხოების სფეროში არსებული ხარვეზები, რაც საქათველოსათვის ეგზისტენციალური პრობლემაა. ეს ნაკლოვანებები მანამდეც არსებობდა, მაგალითად ბუშის ადმინისტრაციის დროს. მაშინ საქართველოს მიმართ ბევრად მეტი რიტორიკული მხარდაჭერა იყო აშშ მხრიდან, თუმცა ბუშის ადმინისტრაციას არ ესმოდა კარგად რა პროცესები მიმდინარეობდა ქვეყანაში.
- აშშ არ სურს უფრო მეტი გააკეთეოს, ვიდრე მიანიშნოს რუსეთს შეასრულოს ვალდებულებები, რომელიც მან აიღო სამშვიდობო ხელშეკრულების ფარგლებში. აშშ, ასევე არ აპირებს საქართველოსთვის იარაღის მიყიდვას და იმ ჯარისკაცების შეიარაღებას, რომლებსაც ამზადებს. შესაბამისად, საქართველოსათვის სამხედრო იარაღის შესყიდვებზე კვლავაც დარჩება შეზღუდვე-

ბი. ასევე, ნატოსგან იმაზე მეტი არ არის მოსალოდნელი, ვიდრე ნატოს მიერ მიღებული განაცხადი, რომ საქართველო მომავალში გახდება ნატოს წევრი.

- აშშ-რუსეთის გადატვირთვის პოლიტიკა მნიშვნელოვანია, თუმცა ეს აფერხებს აშშ – საქართველოს ურთიერთობებს. ამიტომ აუცილებელია ობამას ხელისუფლებამ გადახედოს გადატვირთვის პოლიტიკას, არა მხოლოდ იმის გამო, რომ არსებობს განსხვავება რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ხედვებს შორის. მთავარია, რომ გადატვირთვამ საქართველოსთვისაც შექმნას უკეთესი პირობები. ამერიკამ უნდა გაიგოს, რომ რუსეთი ისევე იქცევა, როგორც მე-19 საუკუნეში.
- აშშ-საქართველოს ურთიერთოებები შეიძლება უფრო გაღმრავდეს. ამისათვის საქართველომაც შეიძლება გააკეთოს მეტი. მაგალითად, უკეთესად, უფრო ეფექტიანად და უფრო სწრაფად გაატაროს დემოკრატიული რეოფრმები.

ნატო-თან თანამშორმლობის პერსპექტივები

- საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესის ინტენსიფიკაციამ შეიძლება დამატებითი შესაძლებლობები შექმნას კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე. დღეს თითოეული სკეპტიკურად განწყობილი ნატოელი მოკავშირესათვის, საქართველოს ნატოში გაწევრიანებას აფერხებს შემდეგი 4 ფაქტორიდან ერთ-ერთი ან რამოდენიმე ერთად აღებული: (1) გლობალური ეკონომიკური კრიზისით გაძლიერებული ნეოიზოლიაციონისტურ-პაციფისტური ტენდენციები, რომლებიც ეწინააღმდეგება ნატო-ს საზღვრების გაფართოებას და მათ გარეთ ალიანსის აქტიურ ქმედებებს; (2) რუსეთთან კონფრონტაციისა და კონფლიქტების რეაქტივაციის შიში; (3) ევროპის უსაფრთხოებაში საქართველოს, როგორც ახალი დემოკრატიის კონტრიბუციის პოტენციალის არაჯეროვნად შეფასება; (4)საქართველოს ევროპული ცივილიზაციის შემადგენელ ნაწილად აღქმის პრობლემატურობა.
- ამას გარდა არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომელიც გავლენას ახდენენ ალიანსის წევრების პოზიციაზე, მაგრამ არ აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა. მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ნატო-ს ისტორიას თუ გადავხედავთ არ არის გაწევრიანების აუცილებელი წინაპირობა (გერმანია ამის კარგი მაგალითია), ისევე როგორც საზღვრების დელიმიტაციის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება (ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითი).

საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ხელშემშლელი მთავარი ფაქტორები

გიორგი მუჩაიძე
საქართველოს ატლანტიკური საბჭო

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გადაწყვეტილებების მიღების პრინციპია კონსენსუსი. დე იურე, ეს ნიშნავს, რომ ყველა გადაწყვეტილება მიიღება ერთსულოვნად და მაშასადამე ნებისმიერ მოკავშირეს აქვს ვეტოს უფლება. რეალობაში, კი როგორც წესი ვეტო-მდე საქმე არ მიდის, რადგანაც როდესაც რომელიმე წევრი ქვეყანა არ ეთანხმება კონკრეტული გადაწყვეტილების პროექტს, იმართება კონსულტაციები და შემთხვევათა უმრავლესობაში ხდება კომპრომისის მიღწევა.

კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება, როდესაც სახეზეა მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორები, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ერთ ან რამოდენიმე მოკავშირეზე და განაპირობებენ მათ ნეგატიურ პოზიციას.

თითოეული სკეპტიკურად განწყობილი ნატოელი მოკავშირესათვის, საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ასეთი მთავარი შემაფერხებლებია შემდეგი 4 ფაქტორიდან ერთ-ერთი ან რამოდენიმე ერთად აღებული:

- გლობალური ეკონომიკური კრიზისით გაძლიერებული ნეოიზოლიაციონისტურ-პაციფისტური ტენდენციები, რომლებიც ეწინააღმდეგება ნატო-ს საზღვრების გაფართოებას და მათ გარეთ ალიანსის აქტიურ ქმედებებს;
- რუსეთთან კონფრონტაციისა და კონფლიქტების რეაქტივაციის შიში;
- ევროპის უსაფრთხოებაში საქართველოს, როგორც ახალი დემოკრატიის კონტრიბუციის პოტენციალის არაჯერეროვნად შეფასება;
- საქართველოს ევროპული ცივილიზაციის შემადგენელ ნაწილად აღქმის პრობლემატურობა.

ამას გარდა არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომელიც გავლენას ახდენენ ალიანსის წევრების პოზიციაზე, მაგრამ არ აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა. მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ნატო-ს ისტორიას თუ გადავხედავთ არ არის გაწევრიანების აუცილებელი წინაპირობა (გერმანია ამის კარგი მაგალითია), ისევე როგორც საზღვრების დელიმიტაციის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება (ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითი).

განვიხილოთ ზემოხსენებული ოთხი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი:

პირველ ფაქტორზე, ანუ ნეოიზოლაციონისტურ-პაციფისტურ ტენდენციებზე ქართულ მხარეს გავლენის მოხდენა ნაკლებად შეუძლია. თუ გადავხედავთ მე-20 საუკუნეს, დავინახავთ, რომ გეოპოლიტიკური ტენდენციები და მსოფლიო პოლიტიკის ფოკუსი ხშირად იცვლება, აღარაფერი რომ ვთქვათ 21-ე საუკუნეზე, სადაც საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრესმა გლობალური პროცესების მიმდინარეობის და ტრანსფორმაციის ტემპი ძალზედ დააჩქარა. ამას ბოლო 20 წელიწადის ანალიზიც ცხადყოფს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთის ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელი სერიოზული იდეოლოგიური კონკურენტის გარეშე დარჩა მსოფლიოში. შედეგად, დაჩქარდა ინტეგრაციული პროცესები ევროპასა და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში და მოხდა დემოკრატიული ევროპის სახღვრების გაფართოება ცენტრალური, სამხრეთ და აღმოსავლეთი ევროპის ახალი დემოკრატიების ლიბერალიზაციისა და ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების საშუალებით.

სამწუხაროდ, კომუნიზმს საკმაოდ მალე მოენახა იდეოლოგიური შემცვლელი, ფუნდამენტალიზმი, რომლის მთავარ იარაღადაც იქცა ტერორიზმი. დემოკრატიულ სამყაროს ფოკუსმა კი გადაინაცვლა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაზე და იგი იძულებული გახდა ამ ბრძოლისათვის მნიშვნელოვანი სამხედრო და ეკონომიკური რესურსების მოებილიზირებინა და ჩამოეყალიბებინა ფართო ანტიტერორისტული კოალიცია, რომელშიც დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთად შევიდნენ ავტორიტარული ქვეყნებიც.

მართალია 90-იანი წლების ბოლოსთვის ლიბერალიზაციის პროცესის უკუქცევა უკვე თვალნათლივ ჩანდა და პოსტ-საბჭოთა სივრცეზე ავტორიტარიანიზმი დომინანტურ ტენდენციად იყო ქცეული, მაგრამ ტერორიზმთან ბრძოლას ამოფარებულ ავტორიტარულ რეჟიმებს, მხოლოდ თავისუფალი სამყაროს ზეწოლის შესუსტების შემდეგ მიეცათ ამოსუნთქვის საშუალება, რის შედეგადაც მათ შეძლეს ავტორიტარული მმართველობის კონსოლიდაცია. ამ მხრივ, აშკარა გამონაკლისს წამოადგენენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, რომლებმაც სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან განსხვავებით შეძლეს წარმატებული დემოკრატიული ტრანსფორმაციის განხორციელება.

ფერადმა რევოლუციებმა და არაბულმა გაზაფხულმა დემოკრატიზაციის პროცესებს მეორე სუნთქვა გაუხსნა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დემოკრატიული ღირებულებები არის არა მხოლოდ დასავლური, არამედ უნივერსალური ღირებულებები, რომლისკენაც თანაბრად ილტვის ნებისმიერი ხალხი, მიუხედავად მისი ეთნიკური, რელიგიური, თუ კულტურული იდენტურობისა.

კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ყველაზე პრაგმატული პოლიტიკა ევროპისა და გლობალური უსაფრთხოების განსამტკიცებლად არის თავისუფალი, დემოკრატიული სამყაროს სახღვრების გაფართოება, და არა ღირებულებებზე დაუფუძნებელი, მოკლევადიან სარგებელზე გათვლილი მიდგომები.

სამწუხაროდ, ლიბერალიზაციის ამ ახალი ტალღის ახვირთება ხდება ტერორიზმთან ხანგრძლივი ბრძოლით გადაღლილობის, ენერგეტიკული საფრთხეებითა და ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისით შეშფოთებულობის ფონზე, რასაც ევროპაში ემატება ევროს კრიზისი. ეს ყველაფერი იწვევს დასავლეთის საზოგადოებრიობის შიდა პრობლემებზე კონცენტრირებას და აქტიური საგარეო პოლიტიკის არაპოპულარობას.

ეს ბუნებრივიცაა, რომ ამუამინდელ, ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ კრიზისს თან სდევს სახელმწიფოების რესურსების შიდა პრობლემების მოგვარებისკენ მიმართვა. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კრიზისებს და მის თანმსდევ ტენდენციებსაც აქვს როგორც თავისი დასაწყისი და პიკი, ასევე ბოლო.

რაც შეეხება მეორე ფაქტორს, რუსეთთან კონფრონტაციისა და კონფლიქტების რეაქტივაციის შიშს, დეკემბრის არჩევნების გაყალბების შედეგად მოსკოვში გამართულმა დემონსტრაციებმა კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს, რომ პუტინის რეჟიმს უამრავი შიდა პრობლემები აქვს და არ გააჩნია პოტენციალი დასავლეთის წინააღმდეგ რეალური კონფრონტაციის დასაწყებად. თუმცა, აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთს საკმაო ძალა შესწევს მის სამეზობლოში პრობლემების შესაქმნელად. შიდა პრობლემებიდან ყურადღების გადასატანად და რეჟიმის კონსოლიდაციისთვის, სავარაუდოა, რომ პუტინი კვლავ ეცდება ითამაშოს მოსახლეობის ნაწილის ანტი-დასავლურ გრძნობებზე და შექმნას მტრის ხატი დასავლეთისა და საქართველოსაგან.

ღრმა ანალიზი არ არის საჭირო, რომ დადგინდეს რუსეთის ხისტი რიტორიკის მიზეზები და მისი პრაქტიკაში განხორციელების არარეალურობა. ამასთან, 2008 წლის აგრესიამ გაზარდა დასავლეთის შეშფოთება საქართველოსა და ზოგადად რუსეთის პოსტ-საბჭოთა სამეზობლოს ტერიტორიაზე კონფლიქტების რეაქტივაციისათვის საჭირო რუსეთის ხელთ არსებული, რეალური პოტენციალის მიმართ. მიუხედავად ამისა, ნელ-ნელა იკვეთება ამ შეშფოთების კლების ტენდენცია, რამდენადაც ევროკავშირისა და აშშ-ს უწყვეტი ჩართულობა რეგიონში და საქართველოს მთავრობის მიერ წარმოებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკა მნიშვნელოვნად ზღუდავს რუსეთის დესტრუქციული პოტენციალის რეალიზების პერსპექტივებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ბაზრის სიდიდე, ევროპის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება და ზოგადად რუსეთის დესტრუქციული პოტენციალი არიან ის ფაქტორები, რომლებიც ზრდიან დასავლეთისთვის რუსეთთან კონფრონტაციის ფასს და გავლენას ახდენენ ზოგიერთი ნატო-ელი მოკავშირის პოზიციაზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედი რუსეთისნაირი დიდი სახელმწიფოები ყოველთვის ახდენენ გარკვეულ გავლენას სხვა საერთაშორისო სუბიექტებზე, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს გავლენა ორმხრივია, და რომ რუსეთის ეკონომიკური უსაფრთხოება პირდაპირ არის დამოკიდებული დასავლეთის ინვესტიციებსა და ტექნოლოგიებზე.

მაგალითებმა უახლესი ისტორიიდან, კერძოდ, ბალტიისპირეთის ქვეყნების გაწევრიანებამ და ბუქარესტში საქართველოსა და უკრაინის წევრად მიღების ზოგადი გადაწყვეტილების დაფიქსირებამ ცალსახად დაგვანახა, რომ მიუხედავად რუსეთისთვის ანგარიშის გაწევისა, მას არ გააჩნია დე დაქტო ვეტოს უფლება ნატო-ს გადაწყვეტილებებზე.

WTO-ში გასაწევრიანებლად რუსეთის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა კი გვიჩვენა, რომ დასავლეთის ერთსულოვნება და ქართული მხარის პრინციპული და ამასთან კონსტრუქციული მიდგომები, ერთად აღებული იღებს სასურველ შედეგებს და სეპარატისტული რეგიონების ცნობის ცალსახა რუსული პოლიტიკაც კი ექვემდებარება გადახედვას.

ძალზედ მნიშვნელოვანია მესამე ფაქტორი, ევროპის უსაფრთხოებაში საქართველოს, როგორც ახალი დემოკრატიის კონტრიბუციის პოტენციალის არაჯეროვნად შეფასება.

ცხადია, რომ ევროპის უსაფრთხოებაში შენატანის თვალსაზრისით, საქართველოს სამხედრო, ანუ ე.წ. „ხისტი ძალის“ პოტენციალი შეზღუდულია, თუმცა თავისი მცირე რესურსებითაც ქვეყანამ მოახერხა ავღანეთში ნატო-ს არაწევრ ქვეყნებს შორის სიდიდით მეორე კონტინგენტის გაგზავნა, რომელიც ნატო-ს ზოგიერთი ქვეყნის კონტინგენტისგან განსხვავებით, უშუალოდ მონაწილეობს საბრძოლო ოპერაციებში ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე და თანაც დისლოცირებულია ავღანეთის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო რეგიონში. ეს ძალისხმევა სათანადოდ აღიქმება ნატო-ს წევრი ქვეყნების მიერ, და ა.წ. 9-10 ნოემბერს საქართველოში ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს ვიზიტის დროს, ბ-ნმა რასმუსენმა ამას განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი, აღნიშნა რა, რომ „საქართველო არის [ავღანეთში ნატო-ს ეგიდით მიმდინარე] ISAF-ის ოპერაციის სანიმუშო წევრი“.

სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ ფასდება საქართველოს „რბილი ძალის“ პოზიტიური პოტენციალი, რომლის მთავარი გენერატორია წარმატებული დემოკრატიული რეფორმები. არ არის სრულად აღქმული ის გავლენა, რომელიც საქართველოს დემოკრატიზაციის წარმატებულ მაგალითს აქვს რეგიონზე და მის გარეთაც.

რა თქმა უნდა დემოკრატიზაციისა და რიგი სხვა სფეროების კუთხით ნატო-ს წინაშე აღებული კონკრეტული ვალდებულებების შესრულება ძალზედ მნიშვნელოვანია, რამდენადაც ახალი ქვეყნის გაწევრიანება პირდაპირაა დამოკიდებული ამ ვადლებულებების შესრულებაზე (performance based approach). ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვალდებულებების შესრულება არ არის საკმარისი გაწევრიანებისათვის, რამდენადაც ნატო-ში ახალი ქვეყნის შესასვლელად აუცილებელია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას კი ყოველთვის ხდება ჯამური პოლიტიკური მიზანშეწონილობის კალკულაცია, რაც ამ შემთხვევაში, თუ გავამარტივებთ, გულისხმობს ახალი ქვეყნის გაწევრიანების შედეგად, უსაფრთხოე-

ბის კუთხით მოკავშირეების მიერ მისაღები მოსალოდნელი პოზიტიური და ნეგატიური დივიდენდების სალდოს გამოთვლას.

რამოდენიმე სკეპტიკური მოკავშირის გათვლებით, საქართველოს შემთხვევაში ეს სალდო უარყოფითია. მათ მიერ საქართველოს გაწევრიანება აღიქმება, როგორც ნატოს მიერ საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამატებითი ტვირთის აღება. ნაკლებად არის გათვიცნობიერებული ის, რომ საქართველოს გაწევრიანების საშუალებით დემოკრატიზაციის მნიშვნელობის ხაზგასმა გამოიწვევს დსთ-ს სახელმწიფოების დემოკრატიზაციის პროცესების სერიოზულ სტიმულირებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად განამტკიცებს ევროპის უსაფრთხოებას.

სკეპტიკური მოკავშირეების მიერ ამ ძალის სრულად აღქმის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია მისი სიდიდის გაზრდა დემოკრატიზაციის პროცესის ფორსირების საშუალებით. ამ აღქმადობის გაზრდის ხელშესაწყობად, საჭიროა ასევეე სამთავრობო და არასამთავრობო დონეზე დიალოგის გაღრმავება სკეპტიკურ ქვეყნებთან (გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია და სხვა), რეფორმების შედეგების უკეთესად წარმოჩენა და ერთმანეთის პოზიციების განმარტება, განხილვა და შეჯერება.

მეოთხე ფაქტორია, საქართველოს ევროპული ცივილიზაციის შემადგენელ ნაწილად აღქმის პრობლემატურობა. ამ კუთხით უკანასკნელი წლების განმავლობაში მიღწეულია საგრძნობი პროგრესი, თუმცა დასავლეთში მაინც არსებობს გარკვეული სტერეოტიპები და ინფორმაციული ვაკუუმი. გეოგრაფიული სიშორე და ევროკავშირთან საზღვრის უქონლობა კიდევ უფრო ართულებს ამ პრობლემის გადალახვას.

ჩემი, როგორც თავდაცვის სამინისტროში ნატო-ში ინტეგრაციის საკითხების კურატორი სახელმწიფო მოხელის პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია გითხრათ, რომ უახლოეს წარსულში ყოფილა შემთხვევები, როცა ნატო-ს ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, საქართველოს ალიანსში ინტეგრაციაზე პოლიტიკის შემმუშავებელ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულ პირთა ნაწილს, არასწორი ინფორმაცია ქონია ქვეყნის შესახებ საბაზისო ფაქტებზეც კი, აღარაფერი რომ ვთქვათ კონკრეტულ თემატურ დეტალებზე.

არსებული სტერეოტიპებისა და დეზინფორმაციის აღმოფხვრა მნიშვნელოვან ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს. მართალია, ამ კუთხით ყველა ხარვეზი ვერ აღმოიფხვრება, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილის ნეიტრალიზაციისთვის მიზანშეწონილია ნატოელი მოკავშირეების პოლიტიკური წრეებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, აზრის შემქმნელებთან (ოპინიონ-მაკერს) და ჟურნალისტებთან მუდმივი კონტაქტები და მათი საქართველოში ვიზიტების ორგანიზაცია როგორც ოფიციალურ, ასევე გაცნობითი ვიზიტებისა და კონფერენციების ფორმატში.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ ალიანსში იზრდება მხარდაჭერა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. როდესაც დაგროვდება მხარდაჭერის ის კრიტიკული მასა, რომელიც აუცილებელია ამ გადაწყვეტილების მისაღებად, ყოველგვარი არსებული ბარიერი, თუ წინაპირობა გადალახვადია. ამ კრიტიკული მასის დაგროვების ძალზედ მნიშვნელოვანი კატალიზატორი იქნება ქართული მხრიდან დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესის ფორსირება და წარმოჩენა.

ალიანსის წევრებს შორის, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების კონკრეტულ გადაწყვეტილებისათვის აუცილებელი კონსენსუსის ფორმირების კომპლექსურ პროცესში საქართველოს ვუსურვებდი სტრატეგიულ მოთმინებას, ხოლო ალიანსს კი სტრატეგიული შორსმჭვრეტელობის გამოჩენას.